საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/1653
13/05/2022

1653-21-2-202205131025

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს

სსდ - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 21 აპრილის №10145 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. ბათუმში, შავი ზღვის სანაპირო ზოლის ქალაქის გამწმენდი ნაგებობის მოპირდაპირედ, ასევე აეროპორტის ასაფრენი ბილიკის და ე.წ. ახალი ბულვარის მიმდებარე მონაკვეთზე სანაპირო ზოლის ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელებას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს საიდან ხდება სანაპირო ზოლის აღდგენისთვის საჭირო მასალის ამოღება. წარმოდგენილ უნდა იქნეს შესაბამისი ადგილის Shp ფაილები.
- დოკუმენტში მოცემული უნდა იქნეს სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო ინერტული მასალის მდ. ჭოროხის №1-№4 კარიერებიდან საპროექტო ტერიტორიამდე ტრანსპორტირებისათვის გათვალისწინებული საკითხები;
- სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ „სამშენებლო სამუშაოები ჩატარდება წყალმცირობის პერიოდში, რაც იძლევა ტექნიკის წყალში ხანგრძლივად დგომის გარეშე ექსპლუატაციის საშუალებას“. აღნიშნული ჩანაწერი ბუნდოვანია და საჭიროებს განმარტებას;
- დოკუმენტში მითითებულია, რომ იქთიოფაუნაზე შესაძლო ზემოქმედების რისკები ძირითადად უკავშირდება ზღვის პირას ჩასატარებელ სამუშაოებს, თუმცა შეფასებული არ არის აღნიშნული ზემოქმედება და არ არის გათვალისწინებული შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილ ცხრილებში მოცემული ინფორმაცია არ არის იდენტიფიცირებადი;
- სკრინინგის განცხადების მიხედვით, „გრაფიკულ ნაწილში ამოხაზული რეცხვადი ბერმის პარამეტრები, არის პირობითი და მისი განზომილება შეიცვლება შტორმული რეჟიმიდან გამომდინარე“ აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;

სააგენტო სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს შესაბამისი შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის ანგარიშის წარმოდგენის შემდგომ.

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო